საქართველოს პარლამენტი

# საქართველოს პარლამენტის ბიუროს
# გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

№289/1

2019 წელი, 30 სექტემბერი

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 101-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის და 102-ე მუხლის მე-4 და მე-8 პუნქტების შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის ბიურო ადგენს:

დაევალოთ საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის (წამყვანი კომიტეტი), ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის, რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის და საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტებს, განიხილონ საქართველოს პარლამენტის წევრების: გია ჟორჟოლიანის, მირიან წიკლაურის, კარლო კოპალიანის, ერეკლე ტრიპოლსკის, ვიქტორ ჯაფარიძის, გოჩა ენუქიძის, ანზორ ბოლქვაძის, ზაზა პაპუაშვილის, სულხან მახათაძის, ალექსანდრე ერქვანიას და კობა ნაკაიძის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (07-3/395; 20.09.2019) საქართველოს კანონის პროექტი და წამყვანმა კომიტეტმა გადაწყვეტილების თაობაზე აცნობოს საქართველოს პარლამენტის ბიუროს.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე,
ბიუროს სხდომის თავმჯდომარე

არჩილ თალაკვაძე